



ვალიტა ადენა

ფეხბურთი



პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
7 თებერვალი სუთვათი 2013
№030 (13 946) ფასი 80 თეთრი

საბრუნველი პარლამენტის
თავმჯდომარე ანდრონიკა

ალბანური-საქართველური



12

არნივები ქვეალ სგაფაზე

თემურ ძეცბაძე: "რუსეთსა და უკრაინაში მოთამაშე ლეგიონერებმა სულ ახლახან დაიწყეს სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება და ოპტიმალურ ფორმაში არ არიან, ალბანეთის ნაკრები კი ჩვენთვის უხერხული მეტოქეა და ასეთ ვითარებაში მის წინააღმდეგ თამაში იოლი არ იყო. მოხარული ვარ, რომ ანგარიშში ჩამორჩენის შემდეგ ბრძოლა განვაგრძეთ და ორი გოლი გავიტანეთ. ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ.
რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სათანადოდ უნდა მოვემზადოთ საფრანგეთში გასამართი ოფიციალური მატჩისთვის და იქამდე დარჩენილი თვე-ნახევარი ნაყოფიერად გამოვიყენოთ. დარწმუნებული ვარ, ბიჭები საამისოდ ყველაფერს გააკეთებენ. მათ კარგად ესმით, რომ იქ წარმატების მისაღწევად სულ სხვა თამაში და გაცილებით დიდი შრომა იქნება საჭირო".

აშხანაბურები

ინგლისმა ბრაზილია ნააქსია,

არგენტინა შუაღითი,
გერმანია საურანგითი,
ესპანეთმა ურუგვაი...



8



9

რას არ ერგებათ?

რუსეთსა და ყაზახს
მსოფლიოს ჩემპიონატის
მასპინძლობის უფლების
ჩამორთმევა ეგუქრებათ

ბურკინა განას ურქინა

10

აფრიკის თასის
ფინალში ნიგერია
და ბურკინა ფასო
შეიპრქინებინან





ქართული ფეხბურთი

● **ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი**

ხასიათი ვნახეთ, გუნდი უკეთესი გვიჩვენდა



ელვანთი-საქართველო 1:2

06.02. მირანა ძემალი სტადიონი, 12 000 მხარდამხი

1:0 ზოდანნი (26), 1:1 ვანაძე (41, ყენისას პასით), 1:2 ლობჯანიძე (83, ოქრიაშვილის პასით)

ელვანთი: ბერბა (46, უიკანი), ლილა, ოსმანი (46, ვაიუმი), ჩანა, ცური, აგოლი (73, არაპი), ბულკუ (89, მუზაყვი), ვილა (61, პუსარი), ბაკი (55, სადიკუ), რომი (76, გ. ლიკა), ზოდანნი (66, ბალა)

საქართველო: კვასცხაძე – ლობჯანიძე, ხიზანიშვილი, გრიგალავა (46, კანკაძე), კანდელაკი (46, კვიციანი) – კაშია, ს. კობახიძე (63, ძარია) – თარგამაძე, ყენია (61, გელაშვილი), ძალაშიძე (46, ოქრიაშვილი) – მჭედლოძე (21, ვანაძე, 78, თობაძე)

სამწევრობრივნი: მ. კობახიძე, ბაგრატიონი, ბულკუ (72), კანკაძე (73) არაპი: დ. ნაკარგესი (მკვეთნი)

მსაჯის მიერ კომპენსირებული დრო იწურებოდა, როცა **როინ კვასცხაძემ** ჩვენი ნაკრების კარი გადაარჩინა და ამით გუნდს გამარჯვება დაუბრუნა. საქართველოს ნაკრებმა ტირანაში დაძაბული ბრძოლა მოიგო, რითაც ფეხბურთელებმა შესარჩევი მატჩების წინ პოზიტიური განწყობა შეიქმნეს, ქართველ გულშემოტყვიერებს კი ნაკრებისადმი რწმენა ოდნავ მაინც გაუძლიერდა.

თემურ ქვეციანი გუნდს ნამდვილად არ უჩვენებია იმ ხარისხის ფეხბურთი, რომ ქვებით ცაში ავიყვანოთ, უფრო პირიქით, კვლავ მრავლად იყო ხარვეზი და კონკრეტული ფეხბურთელები, რომლებიც სანაკრებო დონეს ვერ აკმაყოფილებენ. სამაგიეროდ, საქართველოს ნაკრებმა გვიჩვენა ხასიათი – როცა გასვლით მატჩში, თუნდაც ამხანაგურში და თუნდაც ალბანეთთან, თამაში 0:1-დან 2:1-მდე მიგყავს, ეს იმას ნიშნავს, რომ ბრძოლა შეგიძლია და შესაძლოა, უფრო ძლიერ მეტოქესთანაც გაქონდეს წარმატების იმედი.

მიმოხილვის დასაწყისში კვასცხაძე გასენეთ და უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი სახით ჩვენი ნაკრების კარში კიდევ ერთი საიმედო კიბური ვნახეთ. "ხესტაფონის" მეკარე ძირითად შემადგენლობაში **გიორგი ლორიას** შეუძლებელი ყოფნის გამო მოხვდა და ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. მისმა რეაქციამ გოლისგან ორჯერ გვიხსნა, ერთხელ ზემოთ ნახსენებ ეპიზოდში და ერთხელაც 79-ე წუთზე, როცა ანგარიში საყაიბო იყო – ალბანელთა მიერ შესრულებულ საჯარიმო დარტყმას მიმართულ გოლსაც კვასცხაძემ შეუწყვეტა, თუმცა კვასცხაძე ბურთს მაინც შესწვდა და საფრთხე ძელის დახმარებით გაანეიტრალა.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების შემადგენლობასა და განლაგებას: შესვენდა თადარიგში დაინიშნეს გუნდის კაპიტანმა **ჯაბა კანკაძემ** და ერთ-ერთმა ნამყენებმა **შუახაშელმა თორნიკე ოქრიაშვილმა**, რაც სიურპრიზი არ ყოფილა – ორივე მათგანი საფრანგეთთან შესარჩევ მატჩს დისკვალიფიკაციის გამო ტოვებს და ქვეციანი მათი 11 კაცს მიღმა დატოვებდა ამიტომ გადაწყვიტა.

ნაკრებს პირველად უკაპიტნა **გურამ კაშიამ**, რომელიც პირველ ტაიმში საყრდენად მოგვეყვინა, მეორეში კი ჩვეულ პოზიციაზე, დაცვის ცენტრში ითამაშა. მატჩის პირველ ნახევარში ცენტრალური მცველები **ზურაბ ხიზანიშვილი** და **გია გრიგალავა** იყვნენ, ხოლო ფლანგებზე **უჩა ლობჯანიძე** და ნაკრებში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნებული **ილია კანდელაკი** მოქმედებდნენ; მოედნის ცენტრში კაშიას **სანდრო კობახიძე** შეუწყვილდა, მარჯვნიდან **დავით თარგამაძე**, ცენტრიდან **ლევან ყენია**, ხოლო მარცხნიდან **ნიკა ძალაშიძე** უტყვევდა; ერთადერთ ცენტრფორვარდად ქვეციანი **ლევან მჭედლოძე** გააჩვენა, რომელიც პირველი ტაიმის შუაწელში შესაცვლელი შეიქცა და მისი ადგილი **მათე ვანაძემ** დაიკავა.

თამაში დიდდ სახანაობრივი არ ყო-

ფილა, რაც მეტოქეთა არცთუ მაღალ კლასთან ერთად, მოედნის საფარის საშინელი მდგომარეობითაც უნდა იყოს გამოწვეული. უშინაარსო დებიუტის შემდეგ დასინარება მასპინძლებმა შეძლეს – **ერიონ ზოდანნი** გრიგალავას საპერო დუელი მოუგო და თავური დარტყმით ალბანელები წინ გაიყვანა.

თამაშის სურათი არ შეცვლილა, გუნდები ეპიზოდურად თუ ახერხებდნენ შინაარსიანი ფეხბურთის ჩვენებას. სამაგიეროდ, ეფექტური გამოდგა 41-ე წუთზე განხორციელებული კომბინაცია, რომელსაც ქართველთა გოლი მოჰყვა. სწრაფი კონტრშეტევისას სამი ჩვენი შემტევი ორი ალბანელის წინააღმდეგ დარჩა და რიცხობრივი უმრავლესობა იდეალურად გამოვიყენეთ. თარგამაძემ ბურთი ყენიას გაუჭრა, რომელმაც გამოზომილი გადაცემით ვანაძე მოიტანა და ამ უკანასკნელმა ანგარიში თავური დარტყმით გაათანაბრა. პირველი ტაიმის მიწურულს კვასცხაძემ ავოლის დარტყმა მოიკერია.

შესვენებაზე და მეორე ტაიმის მსვლელობისას ქვეციანი არაერთი ცვლილება განხორციელდა, რასაც ჩვენი ნაკრების თამაშზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. პირიქითაც შეიძლება თქვას – ოქრიაშვილმა გუნდს ნაც გვიჩვენა, ვინ არის გუნდის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი.

მეორე ტაიმის დასაწყისში ქართველებს დაინარება ორჯერ შეეძლოთ, მაგრამ ვანაძესა და თარგამაძეს მიზნამდე მივრედი დააკლდათ. გამარჯვების გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო – კვასცხაძის მიერ მოგერიებული რკოშპეტი უკვე ვახსენეთ.

გამარჯვების გოლი სტუმრებმა ოქრიაშვილის ფლანგური გარღვევის შემდეგ გაიტანეს. უჩა ლობჯანიძემ, რომელიც ცენტრფორვარდის პოზიციაზე აღმოჩნდა, ბურთს მიმართულ უჩაშვილს, მაგრამ რაც მთავარია, შედეგიანი მოძრაობით შეუცვალა და საქართველოს ნაკრები დაინაწურა. ლობჯანიძემ, ისევე როგორც ვანაძემ, ტირანაში პირველი სანაკრებო გოლები გაიტანეს.

საქართველოს ნაკრებმა ტირანაში გამარჯვებით ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და როგორც უკვე ვთქვით, საკვალიფიკაციო მატჩის წინ დადებითი ფონი შექმნა. გასვლითი გამარჯვებებით განებივრებულნი არ ვართ და გუშინდელი საღამო იმითაც არის კარგი, რომ ფიფას რეიტინგში წინ გავწვეს, ხოლო იმის შეფასება, აქვს თუ არა პროგრესი ჩვენს ეროვნულ გუნდს, ოფიციალური შეხვედრებისთვის გადავდეთ.

საქართველო

გიორგი თაყაი



გიორგი თაყაი


ახალი ლაბიონარი ფარულაბი

"ზესტაფონს", რომელიც შეკრულა ანთალიაში იმყოფება, სინჯებზე კიდევ ერთი უცხოელი შეუერთდა. ეს 29 წლის სერბი მარცხენა მცველი **გიორგი მელუტინოვი** გახლავთ. კარიერის განმავლობაში მას უთამაშია როგორც სერბულ, ასევე საზღვარგარეთულ კლუბებში. სამშობლოში მას "ოლიონის", "რადნიკის", "პანათის" და ბსკ-ის ლისებმა დაუცვას, ორი სერბი კი კვიროსულ "ეთნიკოსში" გაატარა.

"ზესტაფონის" მთავარი მწვინელი **კახა კეჭარავა** მელუტინოვის ანთალიაში დარჩენილ საკონტროლო მატჩებში დააკვირდებდა და მის თაობაზე გადამწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებს. "ზესტაფონის" ფეხბურთელებმა ანთალიის ლირსშესანიშნაობები დაათვალიერეს და საწვრთნელი პროცესი განაგრძეს. 9 თებერვალს ფეროვლები პოლონურ "ლესას" გაეჯიბრებიან.

ლევან ჯანაზაშვილი

ლაბიონარები



საბა კვიციანი (მარცხნივ)

ქვირკველია მუხვლელად ითაბა

საქართველოს ნაკრებისთვის საბა კვიციანისთან ერთად ემზადება ყაზანის "რუბინი". შეგახსენებთ, ახალგაზრდა ქართველი მცველი "რუბინს" იჯარის შემდეგ დაუბრუნდა და მის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას ცდილობს. საკონტროლო მატჩების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საბას ამის შანსი უნდა ჰქონდეს – ამხანაგურ შეხვედრებში სისტემატურად მონაწილეობს.

კვიციანი რუმინულ "კლუფთან" ტესტ-მატიჩი სრულად ჩაატარა. ეს შეხვედრა ყაზანელებმა 0:1 ნაადგეს.

"რუბინი", რომელიც ბოლო წლებში ორჯერ გახდა რუსეთის ჩემპიონი, მიმდინარე სეზონში არცთუ სახარბილოდ ასპარეზობს – პრემიერლიგაში მხოლოდ მეხუთე ადგილზე და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ ევროპის ლიგის საგზურს მოიპოვებს.

პვირლი მუხვლელად ლევან ჯანაზაშვილი



მატჩის ბოლოს გამარჯვების გოლი უჩა ლობჯანიძემ გაიტანა

● მოსაზრება

რა მიზანი აქვს ნაკრებს გაახალგაზრდავება თუ შედეგის მიღწევა?



შპსაქსპორტს, სათაურში დასმული კითხვა პარადოქსულად მოგვჩვენოთ, მაგრამ ბოლო წლებში ქართულ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენები გვიჩვენებს, რომ კითხვა უსაფუძვლოდ არ დასმულია.

ბერლინის „შერტას“ ფეხბურთელმა **ლევან კობიაშვილმა** „სპორტალიან“ ინტერნეტპორტალის კონფერენციაში მკითხველთა შეკითხვებს უპასუხა და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის **თემურ ქეცბაიას** მოღვაწეობის შეფასებისას, გუნდის გაახალგაზრდავებაზე ძალიან საყურადღებო ფრაზა თქვა.

„მგონი, სწორი არ იქნება, თუ იმაზე დაიწყებთ საუბარს, რომ ქეცბაიას 4-5 წლიანი პროგრამა აქვს, ნაკრებში გაახალგაზრდავების პროცესი მიმდინარეობს და ამიტომ მას ყველაწარმო შედეგი უკაბეჭდება. ეროვნული ნაკრები არის გუნდი, რომელშიც ძლიერდება უნდა ითამაშონ, ერთი მხრივ, ამ გაახალგაზრდავების პროცესის არ მესმის. ეს შეიძლება კლუბში მოხდეს, ეროვნულში კი საუკეთესოები უნდა ითამაშობდნენ, არ აქვს მნიშვნელობა, 30 წლის არის, 35-ის, 18-ის თუ 20-ის. თემურ ქეცბაია იქნება თუ სხვა მწვრთნელი, ყველა შედეგით ფასდება“ - განაცხადა კობიაშვილმა.

... როდესაც **ნოდარ ახალკაცს** გაუჭირდა, 1985 წელს თბილისის „დინამოში“ 30 წლის **რევაზ ჩელუბაძე** დაბარდნა და მამინდელ „დინამოს“ „ჩელუბ“ იმდენი სარგებლობა მოუტანა, ნეტავ ახლა გვყავდეს მსგავსი ვეტერანი ფორვარდი. „მილანში“ ასაკოვან მალდინის, პარენის, კოსტაკურტასა და ინძაგის ათამაშობდნენ, გერმანიის ნაკრებში 39 წლის **ლოტარ მათუუსს** და კიდევ არაერთი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება. როდესაც გუნდში სათანადო დონის ახალგაზრდა არ არის, გამოცდილის ყოფნა აუცილებელიც არის. კამერუნელმა თავდამსხმელმა **როჟე მილამ** მსოფლიო აღიარება 38 წლის ასაკში, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლით მოიპოვა, ხოლო 42 წლის მუნდიალზე ორი გოლი გაიტანა.

ჩვენი რა ხდება? ნათუ, ეს უნდა ეთქვა ცნობილ ფეხბურთელს, რომ გავვეგო, რა არის სხვადასხვა დროში საქართველოს ნაკრების წარმატებულობის მიზეზი? ჩვენი ეროვნული გუნდი 1990 წელს ჩამოყალიბდა და ლიტვასთან პირველ შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, სულ ექვსპერიმენტებით ანგალებდნენ. გაახალგაზრდავება პირველივე შესაძლებელი ციკლიდან დაიწყო, რის გამოც ბევრი ცნობილი მოთამაშე „თამაშარეში“ ან მცირედ დასაქმებული აღმოჩნდა: საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის „ლე პარის“ 29 წლის თავდასხმელი **გია გურული**, 28 წლის საყრდენი ნახევარმცველი **როსტომ თორღაშვილი**,

„მრეგებისა“ და ფოთის „კოლხეთის“ შემტევი ნახევარმცველები, **ბუბა ტყაყაძე** და **გიორგი დარასელია**, რომლებიც ამ დროისთვის თავიანთი პოზიციაზე საუკეთესოა შორის იყვნენ. ეს პროცესი შემდეგაც გაგრძელდა და თითოთა დამამარცხელი წყვეტა მივიღეთ.

თავად ქეცბაიასაც კარგად ემხსოვრება, როგორ განიცდიდა ქართველი გულშემატკივარი ეროვნული გუნდიდან მის გაშვებას, როდესაც 34 წლის ასაკში სარგებლობის მოტანა კიდევ შეეძლო. ეს ყველაფერი ფამაგუსტის „ანორთოსისში“ კარგი თამაშით დაამტკიცა.

„გაახალგაზრდავების პროცესით“ იმხელა აბსურდამდე მივდით, რომ ასაკობრივი ნაკრებების გაახალგაზრდავება (?!) დაიწყეთ - ფრაზას დაუკვირდით და მიხვდებით, რომ ასეთი კურონი შეუძლებელია ნორმალურ ქვეყანაში ხდებოდეს. ტენდენცია ქართულ კლუბებსაც გადაედო და 28-29 წლის მოთამაშეების განდევნის პროცესს ლამის ყველგან წმინდათა წმინდა საქმედ თვლიან.

მიზეზი ძალიან მარტივია: გამოუცდელს გვერდს თუ გამოცდილი არ უმაგრებს, ნაკლები „მადა“ აქვს და შედარებით ადვილი სამართავია ისიც და მთლიანად გუნდიც. მაგრამ ჩვენი მიზანი მხოლოდ ნაკრების გაახალგაზრდავება და გუნდის იოლად მართვაა, თუ წარმატების მიღწევა ნებისმიერი ასაკის მოთამაშეებით? მგონია, რომ სწორედ გუნდის იოლად მართვის ქვეცნობიერი სურვილია ამ ფაუნდებელი პროცესის



თავი და თავი, რაც ბოლო 20 წელია, ქართულ ფეხბურთში ხდება - მხოლოდ ქეცბაიას ნამდვილად არ ვგულისხმობთ. ფეხბურთი როდელი სახეობაა, ერთეული მწვრთნელების ხვედრია, რთულია გუნდის მართვა, მაგრამ სხვაგვარ მუშაობას აზრი არ აქვს - მწვრთნელის საკისი გაიოლებით ქვეყნის საქმე არ კეთდება.

ვერავინ იტყვის, რომ საქართველოს ნაკრებში ვეტერანები თავს არ იკლავდნენ და ფეხებს უფრთხილდებოდნენ. ეროვნულში ყველაზე დიდი არაპროფესიონალები არა ფეხბურთელები, არამედ ის ადამიანები იყვნენ, ვინც ნიჭიერი თაობები ვერ გამოიყენეს და მათ „ფეხების გაფრთხილება“ დააბრალეს, ვინც გუნდში ავტორიტეტებს ვერ იტანდა და ათასი ბნელი აზრი აწუხებდა.

გულშემატკივარს კარგად ემხსოვრება **გიორგი ქინელაძის** სიტყვები, რომელიც 28 წლის **კახა ცხადაძის** ნაკრებიდან გაშვებას გამოეხმაურა: „გუნდს ყოჩი დააკლდა და უმისოდ საქართველოს ნაკრები დასუსტდებოდა!“ ასეც მოხდა.

დიდი ახსნა არ სჭირდება იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს გუნდში თაობების უწყვეტობას. არ შეიძლება, ნაკრებში მხოლოდ ახალგაზრდები ან მხოლოდ ვეტერანები თამაშობდნენ - ეროვნული გუნდი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელების კრებულს უნდა იყოს და არა „საბავშვო ბაღი“, მოთამაშეების გასაზრდელად რომ ვიყენებდით.

ნებისმიერ საქმეშიც ასეა - დასაინაშურებელი თუ გასაყიდ ახალგაზრდებს უფროსი და გამოცდილი მოთამაშის დარიგება და გვერდში დგომა ესაჭიროება და ასე მგონია, ნაკრებში თაობების უწყვეტობის დარღვევამ გუნდებიც აზარალა და ქართული ფეხბურთიც. ნაკრები კაცების უნდა იყოს და არა ბავშვების. სწორედ მათ შეუძლიათ გადაწყვეტილი მიმდინარეობის საკუთარ თავზე აღება, რისი დეფიციტიც დღევანდელ ნაკრებს აშკარად ეტყობა. საბოლოოდ, თაობები ვერ იღებენ წინათა გამოცდილებას, ცოდნას, ნიუანსებს და საფეხბურთო ემპაქობების წვდომას, თამაშის გამოფერის უნარს და ათას რამეს.

ახა, ახლა მოგვცა 28-29 წლის **კახა ცხადაძე**, **მურთაზ შელია**, **გია გურული**, **როსტომ თორღაშვილი**, **ბუბა ტყაყაძე**, **გიორგი დარასელია** და თუნდაც 34 წლის **თემურ ქეცბაია** და **შოთა არველია** (რომელიც ასევე ასაკის გამო დაიწუნეთ) - ვინმეს სჯერა, რომ ისინი ნაკრებს არ წაადგებოდნენ?

საერთოდ, ფეხბურთელი ღვინოსავით არის: მჭარბიდან რაც უფრო გამოსულია, მით უკეთ დაღვინებულიცაა, ჩვენ კი მაქარისგან ღვინის გემოს ვითხოვთ - ასე ხად არის!

● ლაბორერი



გიორგი ქანტურია (ბურთით) „რაიოდან“ საკონტროლო მატჩში

გაზავეს ქანტურია მოსწონს

ორიწლიანი დღის წინ, ვლადიკავკაზის „ალანიაში“ თურქეთში მორიგი საკონტროლო შეხვედრა ჩატარდა და სერბეთის უმაღლესი ლიგის „დინი სრენს“ 3:0 მოუგო. ამ მატჩში ერთი გოლი **გიორგი ქანტურიამ** გაიტანა, რომელმაც მეტოქის კარი საკმაოდ ლამაზი დარტყმით აიღო.

„უცებ გამოიხდა ბარსელონური ტექნიკა“ - სწორედ „ალანიას“ ოფიციალური საიტო ქანტურიამ თამაში ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და მეორე ტაიმში შეცვალეს. მატჩის შემდეგ ვლადიკავკაზური კლუბის პრეზიდენტმა და მთავარმა მწვრთნელმა **ვალერი გაზავემ** ახალწვეულების ნაწილზე ლაპარაკი. მას კითხვა არნემის „ვიტესიდან“ ივარით დამატებულ ქანტურიას ანუ გაზავეს (სერბებთან გაზავემა 19 წლის ქართველი ლეგიონერი მისთვის ჩვეული ფლანგის შემტევადაც კი არა, ცენტრფორვარად ათამაშა): „ქანტურიას მომავალშიც ამ პოზიციაზე ათამაშებთ?“

„ქანტურია შემტევი და მსურდა მენება, თავდასხმის ცენტრში როგორ გამოიყურებოდა. შემოიხდა ვითხრათ, რომ მილიანობაში, მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა, შერბებზე რეკომენდებული შემადგენლობის დადგენა გვსურს და მოთამაშეთა რამდენიმე პოზიციაზე გასინჯვის საშუალებაც გვაქვს“ - ამბობს გაზავეი.

● U 19



19-წლამდელი ნაკრების მთავარი მწვრთნელი გია ცეცაძე

შეპირება დასრულდა

საპარტიშპორს 19-წლამდელი ნაკრებმა ერთკვირიანი შეკრება გუშინ აშხანაგური მატჩით დაასრულა. „მცხეთა პარკზე“ გია ცეცაძის გუნდი „გაგრას“ დაუპირისპირდა და 0:2 წააგო.

პირველ ტაიმში „გაგრა“ დავით ვოლკოვმა დაინაწურა, მეორე ნახევარში კი თავი გუგუა ფაბრეგანიშვილმა გამოიჩინა.

19-წლამდელი: თებიძე, გვეჯკორი, სანდოხაძე, თევზაძე, ქიტიაშვილი, ექვთიმეიშვილი, ფონიავა, პაპუნაშვილი, კვარაცხელია, ნიკვაშვილი, ერისთავი. შეცვლაზე: ადამია, კაკაბაძე, ჩაღუნელი, უბლავა, ნულუკიანი, ლობჯანიძე, ქარელი, კვაჭანტარაძე.

● ფაქტალი

ახალგაზრდულს რუსეთში და პოლონეთში იწავეს

ფაქტალი ასოციაციის გენერალური მდივნის, **ბექა კვიციანის** თქმით, არაა გამოცხადებული, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა რუსეთში საერთაშორისო ტურნირზე ითამაშოს.

„შეჯიბრება 2013 წლის ბოლოს სანკტ-პეტერბურგში იმართება. ტურნირის დანიშნულებაა, რომ ახალგაზრდა მოთამაშეებმა გამოცდილება მიიღონ და დროთა განმავლობაში ეროვნული ნაკრები გააძლიერონ. თანაც, მათ შეეძლება, თავი გამოიჩინონ და ძლიერ კლუბებში მოხვედნენ, რადგან ტურნირის პირდაპირ ეთერში **EU-ROSPORT** გადასცემს“ - ამბობს კვიციანი.

ამავდროს შეიტყვეთ, რომ ახალგაზრდა ქართველი ფუტსალელებს პოლონეთის ფეხბურთის ფედერაცია გდანსკშიც ეპატივება.

ინტერვიუ

დინამოს ექსკლუზივი

რამაზ მუხლაძე: პროექტი წარმატებული იქნება

“დინამო ტობილისი” ამ დროისთვის საქართველოში ერთადერთი კლუბია, რომელსაც გუნდი უმალეს ლიგაშიც ჰყავს და პირველ ლიგაშიც. ამ კლუბს აქვს ამისთვის ყველა საჭირო რესურსი. საკმაოდ უნდა იყოს სხვა რამე - უმალესი ლიგის სხვა კლუბებმაც რომ მოისურვონ იგივე, პირველი ლიგა უმალესი ლიგის მეორე გუნდებით უნდა გაივსოს?

როგორც უნდა იყოს, “დინამო თბილისმა” ეს პროექტი განახორციელა. “დინამო 2”-ს გამოცდილი სპეციალისტი, რამაზ მუხლაძე უდგას სათავეში. მუხლაძე მხოლოდ ახალგაზრდებთან მუშაობაში როდია წარმატებული, მისი ხელმძღვანელობით თბილისის “ვიტ ჯორჯია” 2009 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა. მოკლედ, “დინამო 2”-ს საკმარის სახელმძღვანელო სპეციალისტი წვრთნის და მას რამდენიმე კითხვით მივმართე.

როგორ შეაფასებთ ამ პროექტს, რა არის მისი მთავარი დანიშნულება?

“დინამოსთვის” ეს მართლაც კარგი პროექტია, ჭკვიანი კაცის მოფიქრებული. ალბათ ყველა გუნდში ისეთი ფეხბურთელი, გარკვეული კარიერის დროს პირველ გუნდში თამაში რომ არ უნებს და სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. მანამდე “დინამოს” მხოლოდ დუბლები ჰყავდა, ახლა კი მეორე გუნდიც ჰყავს პირველ ლიგაში. ბრწყინვალე პირობები გვაქვს, დიდხანს ბაზაზე ვვარჯიშობთ. ამ პროექტის ავტორი ბუბა ტყავაძე გახლავთ.

რომელი ფეხბურთელია “დინამო 2”-ში?


კაკუბავას ტრავმა ჰქონდა და ახლა ჩვენთან უნდა აღიდგინოს ფორმა. “დინამო 2”-ში ვარჯიშობს ნიკა კვეციანი.

პირველ ლიგაზე რას გვეტყობით, რა შთაბეჭდილებას ტოვებს ეს ტურნირი?

ძალიან ცუდი მოედებია, სადაც კი სათამაშოდ ნავედით, არსად არ დაგვხვდა კარგი მინდორი, ფაქტობრივად, ყანაში გვიწევს თამაში.

პირველ ლიგაში ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოგწონათ?

ლანჩხუთის “გურია”. ამ გუნდში უკეთესი დეკატეგორია, ჩამოყალიბებული ფეხბურთელი თამაშობენ. სეზონის პირველ ეტაპზე კარგი, ახალგაზრდული და ტექნიკური გუნდი იყო “სასკო”, რომელთანაც ორივე მატჩი ნაგავეთ. პირველ ლიგაში ბევრი გამოცდილი ფეხბურთელია, ისეთები, უმალესი ლიგაში რომ უთამაშობთ, შესაბამისად, პირველ ლიგაში თამაში ადვილი ნამდვილად არ არის.



რამაზ მუხლაძე

მეორე ეტაპის წინ ახალი ფეხბურთელი თუ დაიმატეთ?

“სასკოდან” გამთავრებულნი არახამია, “დინამოს” დუბლებიდან ჩვენთან მოვიდნენ გურემიძე, სარიშვილი და სამხარაძე.

უმაღლესი ლიგის თამაშებზე დასასწრებლად გრეხებთ დრო?

უმაღლეს ლიგაში არსებულ ტენდენციებზე საუბარი ჩემთვის რთულია, რადგან მეტწილად მხოლოდ “დინამოს” მატჩებზე თუ ვხევრებ დასწრებას.

საკმაოდ დიდი ხნის წინაა, “დინამო” იყო განხორციელებული მსგავსი პროექტი, მაშინ “დინამოს” მეორე გუნდს “თბილისი” ერქვა და მაშინაც “დინამოს” მეორე გუნდის ხელმძღვანელი თქვენ იყავით. “თბილისში” მაშინ გამოჩნულად ნიჭიერი ახალგაზრდები თამაშობდნენ, მაგალითად, რატი აღუცხიძე და ლადო ბურდული. “დინამოს” ახლანდელ მეორე გუნდში თუ ხედვთ ასეთ ტალანტებს?

ეს პროექტი სწორედ ამისთვისაა შექმნილი, რომ “დინამოს” ნიჭიერი ახალგაზრდები დანიშნურდნენ, ისეთი ფეხბურთელები უნდა მოვაშალოთ, რომ დაჭირდებათ თუ არა პირველ გუნდს, უკვე უნდა იყვნენ იქ სათამაშოდ. ამისთვის შემოვართ და ეს გაკეთდება კიდევ რაც მთავარია, კლუბის ხელმძღვანელებისგან ყურადღება არ გავკლია.

დავით ტაყარაძელაძე

სამუადისი

მეტალურგმა ექსტრაქლასთან ნააზრო

შპს რამაზმა მყოფმა რუსთავის “მეტალურგმა” გუნდის პირველი საკონტროლო მატჩი ითამაშა, პოლინურ “გურნიკთან” 0:1 დამარცხდა. “ზაბუს” “გურნიკი” პოლინეთის ექსტრაკლასისთვის გუნდია და ამ დროისთვის მეოთხე ადგილზეა.

რუსთავის “მეტალურგის” შემადგენლობა ასეთი გახლდათ: ალაიძე, დ. საჯაია, ინჯირველი, გავამღვიძელი, ჯაფარიძე, დობროვოლსკი (განაურგა 83), რამაზ მუხლაძე (ქვეთარაძე 85), გენაძე, მიხაბერაძე (ფილავა 25, ლობჯინაძე), ახალციხელი (ახალციხელი 63), სინათელიძე.

მიკროტრამვის გამო ამ შეხვედრაში ვერ ითამაშეს შურაბ ბათიაშვილმა, ლევან კორდამაძემ, ანზორ სუხიბაშვილმა და დავით ცნობილმა.

მომდევრო ამანაგაურ შეხვედრას “მეტალურგს” 9 თებერვლის გამართავს მოლოდინურ “აკადემიასთან”.

დავით ტაყარაძელაძე



თურაშაულის პაპრონი...

პროგრამა, რომელიც დაიბეჭდა

“ქმცნაგას ინიციატივის ესტორიული მოდელი” - ასეთი სათაურით გამოქვეყნებული ორივე დღის წიგნით. თუმცა ქმცნაგა უმალესი ლიგის კლუბებს ძირითად შემადგენლობაში 21-წლიან მწიფე ახალგაზრდის თამაშის დაკანონება შესთავაზა.

ამასთან დაკავშირებით გააცხადნით მოდელი, რომელიც ესტორიულს ეკუთვნის და ადგილობრივი მოთამაშეების გაზრდას უწყობს. აღმოჩნდა, რომ ამ პროგრამის ქართული ანალოგი არც ისე დიდი ხნის წინათ ჩვენთან დაწერილა, მაგრამ საზოგადოება არ იცნობს. არადა, “ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროექტი” დაიწერა არასდემ მოკლე “მთაწარისის” საუკუნწინაში, არამედ 2011 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების განყოფილებაში. ის თავის დროზე გააცხადეს სფფ-ის მწიფე მოთამაშეების მატარებელ ფედერაციებს, კლუბებს, თუმცა აქამდე ამ პროექტით, სამსახურად, ჯერ არავინ დაინტერესებულა და მერე ვასაკვირი არაა, თუ მას ვინმე სხვა ცნობდა სახეს ან ულაღ სხვა ქვეყანას მიაწერს.

პროექტის ამოცანებია ბავშვთა და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა, კლუბებსა და სკოლებში განვითარების პირამიდული სტრუქტურის დანერგვა, საფეხბურთო სკოლების მნიშვნელობის ამაღლება, ფართო სფეროში ნაკრები გუნდებისთვის და ა.შ.

პროექტი ყურადღება იყო გამახვილებული ბოლოდროინდელ უარყოფით ტენდენციებზე, შემაშფოთებელ სტატისტიკაზე, რომ ბავშვების კლებადა

საერთო დონეზე გავლენას ახდენდა; რომ ტრადიციულ საფეხბურთო რეგიონებში ფეხბურთი ჩავარდნილა, დაკარგულია იდენტურობა, არის უკულუბო რეგიონები, უყურადღებობის გამო იკარგება ტალანტები, ფეხბურთელების გადინებით ქვეყანაში სამედიორო ბალანსი ირღვევა....

სწორედ ამ საკითხების მოსაგვარებლად, ლიცენზირების კომიტეტმა ფედერაციის კომპლექსური მოთხოვნები შესთავაზა. რადგან პროგრამა საკმაოდ ვრცელია, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე პუნქტს შემოგთავაზებთ:

- საფეხბურთო გეოგრაფიის გაფართოება;

- ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე გუნდების განაცხადში დანესდეს მაქსიმალური რაოდენობის ზღვარი (25 ან 30);

- ძირითად განაცხადში ეტაპობრივად დანესდეს შეზღუდული ფეხბურთელების რაოდენობაზე;

ადგილობრივი ფეხბურთელების მინიმალური რაოდენობა ძირითად განაცხადში:

- I სკოლაში - 6;
- II სკოლაში - 8;
- III სკოლაში - 10;
- IV სკოლაში - 12;

- ადგილობრივად ითვლება ფეხბურთელი, თუ იგი 12-15-21 წლის ასაკში ინფორმაციას ამ კლუბში ზედმიზეძვს 3 წლის/სეზონის განმავლობაში (36 სრული თვე);

- აუცილებელია მოქმედი კოტის ნახევარი იყოს ყოველი კალენდრული მატჩის განაცხადში (თუ არ არის სხვა შემთხვევითი გარემოებები - მატჩი, ტრავმა, ნაკრებში გამოძახება და ა.შ.);

- თუ არ მკაფიოფილება მინიმალური რაოდენობის მოთხოვნები, განაცხადში შემცირდეს ადგილები;

- პროექტში არის სადიუსისო/სამსჯელური მომენტები და საინტერესოა ყველა დაინტერესებული მხარის აზრის გაგება, რომ პროექტი ეფექტურად დაინერგოს. კერძოდ:

- ა) განაცხადში მაქსიმალური ზღვრის დადგენა - 25 თუ 30?
- ბ) თუ კლუბს აქვს კოტის შევსების პრობლემა, რა ლონისიციები ტარდება მის მიმართ: უბრალოდ, ეკრძალება მას ამ კოტაში სხვა ფეხბურთელების რეგისტრაცია თუ შეუძლია დაარეგისტრიროს გარკვეული თანხის ფასად?
- გ) ფეხბურთელი რომ ჩაითვალოს კლუბის გაზრდილად, რომელი ქვედა ასაკობრივი ზღვარი უნდა ავიდეთ - 12 თუ 15?

- და ბოლოს, კარგი იქნება, თუ ამაზე გამოხატვებები ნებისმიერი ფორმით მოვა სფფ-ში, რათა პროექტის განხორციელებამდე ყველა კითხვას კომპეტენტური პასუხი გავცეს და საქართველოს მთავრობაში, ცვლილებებში შევიდეს.

მერაბ მამულაშვილი

ახსებები

ხარხიში მინასოგაშია



ირაკლი ხურციძე

საუბრით, რომ “გაგრასთან” შეთანხმების საფუძველზე, ირაკლი ხურციძემ ამ გუნდთან კონტრაქტი გააფორმა.

“გაგრას” 22 წლის ყოფილი კაპიტანი კარიერის უცხოეთში გაგრძელებას ამირებს და ისევ ამერიკაში გაემგზავრა, მაგრამ მისი ახალი კლუბი უცნობია იყო.

თუმცა, ხურციძე აშშ-ში რანვითი მე-2 ლიგის, ჩრდილოამერიკულ საფეხბურთო ლიგის (NASL) ერთ-ერთი დიდ “მინუსოტა სტარსში” ვარჯიშობს. მინუსოტელები ცენტრისთვის ემზადებიან და

განახალი ჩანაწერი

ბალტიმორის კლუბის ტრენინგებთან დაკავშირებით “გაგრას” ყოფილია ფეხბურთელია თამაზ ჩარგიშვილი: მან კონტრაქტი გააფორმა ჯეფერსონის ყოფილ კლუბთან, ლიტვილ “პანგასთან” გააფორმა.

ჩარგიშვილმა, “პანგაში” ირცეებოდა “გაგრას” კიდევ ერთი ყოფილი ფეხბურთელი, ცენტრალური მცველი ნიკა მგელიაძე ახლა კი დაიბრუნეთ, რომ კლუბში კიდევ ერთი ქართველია - მურთაზ ჩანგელია.

დავაუსტეთ, რომ ამჟამად ლიტვიაში იმყოფება თბილისის “ნორი დინამო” - “მურანი”, რომელმაც “პანგას” დუბლ-მეზღველობას ამანაგაურ მატჩში აშკარად “არამხმაგური” ანგარიშით სძლია - 7:2. “ქართველებმა” “პანგას” ახალგაზრდობას ტალღასაით გადაუარეს - ასე შეაფასა შეხვედრა ლიტვილი კლუბის პრესსამსახურმა.

20 წლის ჩანგელია ბოლოს “შუგდინოში” თამაშობდა და ახალგაზრდა თავდამსხმელმა “პანგას” დუბლებს სამი გოლი გაიტანა. სწორედ ამის შემდეგ დაინტერესდა მისით “პანგას” მთავარი გუნდის ხელმძღვანელმა და მიიწვია. შუგდინოში ახალგაზრდას თავის განვითარების მანძილზე ლიტვის ვიცე-ჩემპიონ ვილნიუსის “ფაღგირისთან” საკონტროლო შეხვედრამ მიუცხვია.

მერაბ მამულაშვილი

ლევან კობიაშვილი ინტერნეტ-კონფერენცია

ეროვნული ნაკრები უკონკრეტო გუნდი, როგორც უნდა იტყვას კლიბებში



ბერლინის „ჰერტას“ ნახევარცვლი ლევან კობიაშვილი ხანგრძლივი დისკვალიფიკაციის შემდეგ პირველად მოედანს 9 იანვარს დაუბრუნდა, სადაც „ჰერტასა“ და „ვოლფსბურგის“ 23-წლამდელთა გუნდის საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა.

კობიაშვილი Sportall.ge-ს რუბრიკის - „ინტერნეტკონფერენციის“ მონაწილეობაში - ლევანი ჩვენი საიტის მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს.

ვის მიჩნევ ბუნდესლიგაში ყველაზე უხერხულ მტოქედ?
- ბუნდესლიგაში მოუხერხებელია „ბაიერნი-ლევან“ ყველაზე ძნელი იყო თამაში ჩემს დროსაც და მიმდინარე სეზონშიც. მოუხერხებელი ძალიან ძლიერად თამაშობდნენ. უფრო მეტი ენთუზიაზმით ხარ, როცა ამ გუნდის წინააღმდეგ გამოდისარ და რომ გამოგარჯებ, რა თქმა უნდა, ორმაგად სასიხარულოა, რადგან ისეთ გრანდთან გაქვს მოგებულო, როგორც „ბაიერნი“.

შე, ყოველ შემთხვევაში, ბუნდესლიგაში ვარ იმით, რომ მქონია ამის საშუალება - „ბაიერნი-ლევან“ გოლიც გამიტანია და თამაშიც მომივია.

„ბაიერნი“ თამაში რთულია - ყველა პოზიციაზე მაღალი დონის ფეხბურთელები მყავთ, მაგრამ ერთი მხრივ თუ მხელთა მათთან მტოქეობა, მეორე მხრივ, სასიამოვნოცაა.

შენი აზრით, თემურ ქვეციას ხელში ნაკრები თავის მაქსიმუმს აჩვენებს?
- არ მინდა, ჩემი მხრიდან არაკორექტულად გამოვიდეს საუბარი, თუმცა არის იმის საშუალება, რომ ნაკრებმა უკეთესი ფეხბურთი ითამაშოს.

დღევანდელი გადასახედიდან, განსაკუთრებით წინა ხაზში, ეროვნულ ნაკრებს მართლაც მყავს ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც, მართალია, გრანდებში არ თამაშობენ, მაგრამ თავიანთ გუნდებში ძირითადის ფეხბურთელებად ითვლებიან, არიან ნარმატივულები, ახალგაზრდები და პესპექტივულები. ჩემი აზრით, ნაკრებს წინა ხაზში პრობლემა აქვს და ეს მწვრთნელის ბრალია თუ სხვა ვინმესი, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, იმის პოტენციალი, რომ უკეთესად წარმოვაჩინოთ ფეხბურთელებმა საკუთარი თამაში, არსებობს.

რაც შეეხება დაცვას, ჩვენი უკანა ხაზი ყოველთვის ძლიერი იყო.
- ლევან, როგორ ფიქრობ, როდის დადგება სკოლის ქართულმა ნაკრებმა უცხოურ კარიერაზე იფიქროს? რამდენად გამართლებული გგონია, მოთამაშებები დროული ასაკიდანვე რომ მიდიან საზღვარგარეთ?

- თუ ფეხბურთელი იმ ეტაპზეა, რომ კონკრეტულ ადგილზე საკუთარი თავი ამორჩევს და უკვე შემდეგი ნაბიჯი უნდა გადადგას კარიერაში, მაშინ გამართლებულია მისი საზღვარგარეთ წასვლა და ახალი მწვრვალები დაეყრდნობენ ფეხბურთელებს, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს, რომლებსაც სა-

„ფრაიბურგში“ ყოფნის დროს კონკრეტული შემოთავაზება მქონდა „ბაიერნიდან“ ული ჰიონისის სახლიც კი ვარ ნამყოფი

ლამ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ააწყო. ახალგაზრდა ფეხბურთელმა ვერ საქართველოს ჩემპიონატში უნდა დაამტკიცოს საკუთარი შესაძლებლობები და თავის კლუბში უნდა იყოს ლიდერი.
მეხმის, რომ შესაძლოა, საქართველოში მაღალი დონე არაა, მაგრამ შემდეგ უკვე ავტომატურად გადადგამს საბოლოო ნაბიჯებს და საზღვარგარეთ წავა. ვენინააღმდეგები იმას, რომ უკვე ახალგაზრდა ასაკიდან სურთ წასვლა იმ იდეით, რომ საზღვარგარეთ უკეთესია. დიას, უკეთესია, მაგრამ იქ ორმაგი და სამმაგი დატვირთვაა - თუ ამისთვის მზადაა ფეხბურთელი, კი ხატობია.

ლევან, ნაკრების მწვრთნელთაზე თუ ვიფიქრობ და ქვეციას მოღვაწეობას როგორ შეაფასებდი?

- ყველა მწვრთნელი იქიდან ფასდება, თუ როგორ შედეგს ალწევს... ახლა თუ დაინყებთ იმაზე საუბარს, რომ ქვეციას 4-5-წლიანი პროგრამა აქვს, ნაკრებში გაახალგაზრდაების პროცესი მიმდინარეობს და ამიტომ მას ყველა-ნაირი შედეგი ევა-რტება, მგონი, არ იქნება სწორი.

ეროვნული ნაკრები არის გუნდი -

დი, რომელშიც უნდა ითამაშოს ძლიერება. ერთი მხრივ, ამ გაახალგაზრდაების პროცესის არ მქმის. გაახალგაზრდაების პროცესი შეიძლება იყოს კლუბში. ეროვნულ ნაკრებში კი თამაშობს ფეხბურთელი, რომელიც არის საუკეთესო, იქნება ის 30 წლის, 35-ის, 18-ის თუ 20-ის, არ აქვს მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ თემურ ქვეციას იქნება თუ

წევდა, ვიდრე ამ შემთხვევაში ქვეციას ალწევს.
რაც შეეხება ჩემს მწვრთნელობას, ადრეც ვთქვი და ახლაც ვამბობ, რომ დღევანდელი გამოსახედიდან არ ვფიქრობ ამაზე, არ მაქვს სურვილი, რომ მწვრთნელად ვიშუაო.

არაინ ფეხბურთელები, რომლებსაც წინასწარ გადაწყვეტილი აქვთ მწვრთნელობა, მაგრამ მე ამაზე ვერ არ ვფიქრობ და რა მოხდება 4-5 წლის შემდეგ, მართლა ვერ ვეტყვი.

კობი, შენი დიდი გამოცდილება და გარკვევა და ქვეციანი ფეხბურთელი ხარ. გვიხარია, გულშემატკვირობთ. მწვრთნელობას თუ აპირებ და დაახლოებით როდის? ასევე, შენი აზრი ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე გავინტერესებს.

- ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას რაც შეეხება, ჩემი აზრით, ეს არის საკითხი, რომელზეც მხოლოდ ფეხბურთის ფედერაცია არ უნდა მუშაობდეს. უნდა იყოს კომპეტენტური ადამიანების ჯგუფი, რომლებიც გარკვეულ პროგრამას შეიმუშავებენ, რა თქმა უნდა, სახელმწიფოსთან ერთად.

ერთ მაგალითს მოგვყავთ: იმავე გერმანიაში, კონკრეტულად ბერლინში, საფეხბურთო სკოლას არც დენის გადასახადი აქვს, არც წყლის. ამ ყველაფერს თავის თავზე იღებს ქალაქის მმართველობა. მათ ინტერესები შედის, რომ ახალგაზრდები მივიღებ სპორტში, ფეხბურთი იქნება ეს თუ სხვა სახეობა.

ასე ემხარებინა ბავშვთა სკოლებს და რა თქმა უნდა, შემდეგ ეს სკოლა, რომელსაც შედეგით ვეხება, საკუთარ ფინანსებს ინფრასტრუქტურის განვითარებას

ბა თუ შემტვეთ, მნიშვნელობა არ აქვს. გერმანიაშიც ხშირად მსმენია - ფეხბურთში თამაშს ყოველთვის დაცვა ივებს. დაცვა თუ ძლიერი გაცვს, შეგიძლია, ბევრ რამეს მიალწო.

როდის მიალწევს საქართველოს ნაკრები წარმატებას და სადმე დიდ ტურნირზე როდის ითამაშებს, ამას ვერ ვიტყვი, თუმცა მაინც იმედინად ვარ განწყობილი.

მოგვსალმობთ, ლევან. თქვენი კარიერის განმავლობაში ძალიან ბევრი ვარსკვლავის წინააღმდეგ გითამაშათ. მანტერესებს, ვის მიჩნევ საუკეთესოდ მათ შორის, ვის წინააღმდეგაც გამოსულხარო მიწოდებ უნდა რატომ?

- კონკრეტულად ვერ გამოვიყოფ. ძალიან კარგად მახსოვს ის პერიოდი, როცა გერმანიაში ჩავდი. ისეთი ფეხბურთელების წინააღმდეგ მიწვედა თამაში, როგორებიც არიან: ეფენბერგი, მათუსი, ლიფერ კანი და ა.შ.

ნაკრებში გამოსვლის დროსაც, თუ არ ვცდები, 1997 წელი იყო, ინგლისის ნაკრებთან გვიწვედა თამაში. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და დღევანდელ გუნდსაც ახალი დანერგული ჰქონდა სანაკრებო კარიერა. იმავე იტალიის ნაკრებთან თამაშიც ალსანიშნავია.

კონკრეტულად კი ვერ ვიტყვი, ვის წინააღმდეგ გამიჭირდა თამაში.

რუსეთში წასვლის შესაძლებლობაც მქონდა: მოსკოვის „დინამოში“, ცსკა-ში, მაგრამ ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი

მოახმარს: მოედანი ქვენა უფრო კარგი, საშუალებები და ა.შ.
რა თქმა უნდა, ეს ბავშვებისთვისაც უფრო კარგია. ოჯახი როცა აღარ გადაიხდის 50 დოლარს და უფრო ნაკლები დაუფდება ბავშვის სპორტით დაკავება, ეს გარკვეული შედეგია.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია მწვრთნელების ლიცენზირება. მწვრთნელებს უნდა იცოდნენ, როგორ მოამზადონ ბავშვი, რა მიმართულება მისცენ, დააყენონ სწორ გზაზე და ა.შ.

ძალიან საინტერესო და კარგი იქნება, თუ კომპეტენტური ადამიანების ჯგუფი შეიქმნება, რომელიც სახელმწიფოსთან ერთად იზრუნებს ამ საკითხებზე.

ლევან, დადგება თუ არა დრო, როცა საქართველოს ნაკრები რაღაც წარმატებას მიალწევს? ასეთი დაცვითი სქემით თამაში თუ მოუტანს საარგებელს ჩვენს ნაკრებს?

- ადრე მაგალითად ლატვიის ნაკრები მოგვყავდა ხოლმე, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე გავიდა. თუ გადახედავთ ლატვიის ნაკრების იმდროინდელ თამაშებს - 90 წელი დაკვიში იდგენა და კონტრეტებზე გოლი გაჰქონდა, რითაც იტანდნენ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ამ ტაქტიკითაც შეიძლება შედეგით მიწვევა.

ამ დროისთვის ჩვენს ნაკრებს, განსაკუთრებით, წინა ხაზში, მყავს პერსპექტიული და ძლიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც განაცხად უფრო მეტს მიღწევა შეიძლება სწორი მუშაობის შემთხვევაში. ამიტომ შედეგს თუ მივალწევთ, ეს დაცვითი ტაქტიკით იქნება

ბევრი საინტერესო და ძლიერი ფეხბურთელის წინააღმდეგ მომიხდა თამაში, რაც ყოველთვის სასიამოვნოდ მახსენდება.

მოგვსალმობთ, ლევან. შენი კარიერის განმავლობაში საკმაოდ ცნობად გუნდებში გითამაშათ. მანტერესებს, „შალკეში“ გადასვლამდე ან გადასვლის შემდეგ გქონდა თუ არა შემოთავაზება უფრო ძლიერი გუნდებიდან? სხვადასხვა სპორტული ვახეთი წერდა „მილანის“ და ინტერესების შესახებ რამდენად მართალია ეს ინფორმაცია?

- „ფრაიბურგში“ ყოფნის დროს კონკრეტული შემოთავაზება მქონდა „ბაიერნიდან“. ული ჰიონისის სახლიც კი ვარ ნამყოფი. ასევე, მილანის „ინტერის“ შემოთავაზებაც იყო და მილანში ვიყავი ჩასული კლუბის ხელმძღვანელობის მოსალაპარაკებლად. თუმცა საბოლოო ჯამში ეს ტრანსფერები არ შედგა.

შემდეგ ისე აღმოჩნდა, რომ „შალკეში“ მოხვდი. მანამდე კი რუსეთში წასვლის შესაძლებლობაც მქონდა: მოსკოვის „დინამოში“, ცსკა-ში, მაგრამ ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი.

ხოლო უკვე „შალკეში“ ყოფნის დროს, „ბაიერნი“ კვლავ შემოთავაზება გადასვლა, პირველი შემოთავაზებებიდან განსხვავებით, კონტრაქტი სახლიც მე-დო და მხოლოდ ხელისმიწინააღმდეგ აკლდა, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, „შალკეში“ დარჩენა გადაწყვიტე.

გარდა ამისა, ინგლისიდანაც მქონდა წინააღმდეგ, კერძოდ, ლონდონის „ტოტენჰემიდან“.

შეიძლება, მაშინ სხვა გუნდში რომ გადასულიყავი, უფრო კარგი კარიერა მქონდა ან პირიქით.

ბოლოს მინდა ყველას მადლობა გადაუხადო, ვინც კითხვა გამოგაზავა.

ყველა მწვრთნელი იქიდან ფასდება, თუ როგორ შედეგს ალწევს... ახლა თუ დაინყებთ იმაზე საუბარს, რომ ქვეციას 4-5-წლიანი პროგრამა აქვს, ნაკრებში გაახალგაზრდაების პროცესი მიმდინარეობს და ამიტომ მას ყველა-ნაირი შედეგი ევატება, მგონი, არ იქნება სწორი.

ქართულის ჩემპიონატში არ უთამაშაო და არ დაუბტკიცებიათ, რომ ძლიერები არიან, უკვე საზღვარგარეთ სინჯებზე მიდიან. ასეთები შედეგს, ხშირ შემთხვევაში, ვერ აღწევენ და საბოლოოდ ისევე უკან ბრუნდებიან.
ეს ფსიქოლოგიურადაც ცუდად მოქმედებს ფეხბურთელზე.
ჩემი აზრით, საკუთარი კარიერა ყვე-

სხვა ნებისმიერი მწვრთნელი, ყველა ფასდება თავისი შედეგიდან გამომდინარე.
არ მგონია, რომ დღეისთვის ეროვნული ნაკრების ბოლო პერიოდში ვაბოსვლა დადებითად შეფასდეს. ჩემი აზრით, გაცილებით უფრო კომპეტენტური და უფრო ძლიერი სპეციალისტი უკეთეს შედეგს მიალ-





უხსოვარი ფაქტებით

● ინტერვიუ ლონდონში და დავიდ ლუისთან

ბრაზილიელები ლონდონში

„დიდი მილი“ უფრანოსიტები ალექს კეი და ლი კლეიტონი დავიდ ლუისს შინ ეწვივნენ. შეთანხმებისამებრ მასთან იყო მისი მეგობარი უფრო სეზარე. ბრაზილიელებმა ჩვენს ინგლისელ კოლეგებთან ილაპარაკეს ყველაფერზე, დანებებული ფეხბურთი და დამთავრებული ლონდონის ღირსშესანიშნაობებით. მასალას შემოკლებით გთავაზობთ.

- იოლი შესამჩნევია, რომ კარგად მონყოფილხართ. ლონდონში ყველაზე მეტად რა გიყავთ?

დ.ლ. - „ჩელსის“ თამაშების გარდა? ზოგადად მიყვარს ეს ქალაქი, მიყვარს მრავალფეროვნება, გართობა, რესტორნები, კონცერტები. ის ძალიან განსხვავდება სამხრეთი ამერიკისგან. მაგალითად ამას ნინათ „კოლდფელის“ კონცერტზე ვიყავი O2 Arena-ზე.

- როცა ლონდონში სტუმრები ჩამოდიან თქვენთან, სად მიყვებით ხოლმე ისინი?

უ.ს. - ბუკინგემის სასახლეში, „ლონდონის თვალის“ სანახავედ, ზიგ ბენში, ძალიან მიყვარს მუზეუმებში სიარული.

დ.ლ. - მე მაგალითად მაინც ტელსოს მუზეუმში სამჯერ ვიყავი.

- იქ უკვე დგას თუ არა თქვენი ცვილის ფიგურა?

დ.ლ. - არა, ვფიქრობ, რომ ჯერ სეზარის გამოსახლება უნდა დადგას.

უ.ს. - არა, რადგან მე მხოლოდ მეკარე ვარ და არა ცნობილი ადამიანი.

- შეგიძლიათ ლონდონში მშვიდად სირობა?

დ.ლ. - დიას, თუკი თავზე ქუდს დავიხურავ, რომელიც თმებს მიფარავს. მიხარია, როცა გამგებლები მესალმე-

ბრაზილიის ნაკრების ლონდონელი ფეხბურთელები უილი სეზარი და დავიდ ლუისი



ბიან. რატომაც არა? მე ხომ ჩვეულებრივი ადამიანი ვარ.

უ.ს. - ჩვეულებრივად ვსარგებლობ ავტობუსითა და მეტროთი. ამ მხრივ ლონდონი მილანს ნამდვილად მირჩევნია. ქუჩაში მხოლოდ ესპანელი და ბრაზილიელი ტურისტები თუ მცნობენ. თუკი ეს დამოკიდებულია შეიცვალა,

ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ჩემს საქმეს კარგად ვაკეთებ.

- მოგწონთ პრემიერლიგა?

უ.ს. - ჩემთვის ის მსოფლიოს საუკეთესო ჩემპიონატი. ატმოსფერო, მინდვრები, სტადიონები - ყველაფერი გრანდიოზულია. „უილზ პარკი“ თავიდან ცოტა გამჭირდა, მაგრამ მარკ ჰი-

უსის მადლობელი ვარ, რომ ეს მანძი მომცა. ალბათ ველარასოდეს დაბრუნდებოდი ბრაზილიის ნაკრებში, ეს რომ არა. იმედი მაქვს, რომ ლიგაში დარჩენას მაინც მოვახერხებ. პარი რენაში ამისთვის ყველაფერი აკეთებს.

დ.ლ. - აქ თამაშები მსოფლიოს ჩემპიონატით არის. ყოველ ქულას თავი-

პარსკვლავი დეზაბა

ჩელსის ახალი იხელი

„ჩელსის“ სატრანსფერო ბაზარზე დიდად არ უაქტურია. ლონდონურმა გრანდმა ძირითადი გუნდისთვის ერთადერთი მოთამაშე შეიძინა, დეზაბა ბა „ნიუკასლიდან“. ფანებს იმედი აქვთ, რომ სენეგალელი „ჩელსის“ შეტევების ერთობლივად გააძლიერებს. 27 წლის ფეხბურთელს საკლუბო უფრანოსიტმა სპეციალური სტატია მიუძღვნა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

სენეგალის ნაკრების ფეხბურთელი „ჩელსიში“ წლის დასაწყისში მოვიდა „ნიუკასლიდან“ და სადებიუტო შეხვედრაშივე დაიპყრო ფანების გულები, როცა ასოციაციის თასზე „საუთჰემპტონს“ 2 გოლი გაუტანა (თამაში 5:1 დამთავრდა). რედ. სამსუხაროდ, ტრინსაიდში დაბრუნებულს მას ცხვირი გაუტყებეს, რის გამოც მას ტეინებთან კონსულტაციები დასჭირდება.

თავდამსხმელისთვის „ჩელსი“ უკვე მესამე ინგლისური კლუბია. იქამდე მას უთამაშია საფრანგეთში (რუენი), ბელგიასა (შუსკრონი) და გერმანიაში (ჰოფენჰაიმი). 27 წლის ფეხბურთელის გზა

საწყისებიდან დღევანდლობამდე საკმაოდ საინტერესოდ განვითარდა. ის გამოუტყდა უფრანოსიტს, რომ თავის დროზე სახელი რომ არ დაეტოვებინა და გარკვეულ მსხვერპლზე არ ნასულიყო, ამ შემთხვევაში დღემდე პარიზში იცხოვრებდა და ალბათ ჩვეულებრივ სამსახურში ივლიდა.

- ჩემს მანს ჩავებლაუტე. განვითარების საშუალება უცხოეთში ნასვლამ მომცა. იტალიაში მეთხუთსედი ლიგის სამოყვარული კლუბში ვთამაშობდი, მერე ბელგიის ქვედა ლიგის წარმომადგენელში, ინგლისში კი ძალიან ბევრი რამ ვისწავლე გარემოში მყოფი ვიყავი. პრინციპში სულ სხვა სტილის ცხოვრებას შევეჩვიე. წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდილი. თავდაპირველად იყო „ჰოფენჰაიმი“, სადაც მშვენიერი 35 სეზონი გავატარე, შემდეგ კი პრემიერლიგაში მოხვდი. ჩემი ინგლისური გამოცდები 2011 წლის იანვარში „ვესტ ჰემში“ დაიწყო. მასხოვს, როგორ სჯეროდა ჩემი ავრამ გრანტს. „ჩაქუჩებიდან“ „ნიუკასლიმ“ წამიყვანა, სადაც დაუვიწყარი 18 თვე გავატარე.

ყოველთვის მიყვარდა ის კლუბები, სადაც ვთამაშობდი და ვაფასებდი იმ მაისურას, რომელიც მეცვია. თამაშში მუდმივად პირველიდან უკანასკნელ ნუთამდე ბოლომდე ვარ ჩართული და პატივს ვცემ მთლიანად გუნდს. აი, ასეთია ჩემი საფეხბურთო კრება. თავდაპირველად ნამდვილად მაკლდა დიდი ფეხბურთის გამოცდილება, რადგან, გულწრფელად რომ ვთქვათ, დიდი დრო დავყავი პატარა კლუბებში. მეორე მხრივ იქ გატარებულმა წლებმა მაქცია იმ ფეხბურთელად, რაც ამჟამად ვარ.

იცი რა, მე ხომ მხოლოდ ჩემს საქმეს ვაკეთებ, იმას, რაც თავდასხმებს ევალება, გოლები გამაქვს და გუნდს ამით ვეხმარები. თუკი უფრო ჩაუფრანოსიტები, საქმე მხოლოდ გოლებშიც არ არის, თუმცა ყველაზე მეტად მაინც ასე თუ დავცემარები. სადაც უნდა ვყოფილიყავი, სულ ვცდილობდი შედეგაინად მეთამაშა, თუმცა კარის სიახლოვეს ეგოსტი არასოდეს ვყოფილვარ და როცა საჭირო იყო, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, მათი სამუშაოს შესრულებისგანაც არასოდეს დაშინებია უკან.

ახაბები

ბობაქვას თავდასხმული სპირიტუალი

„ტომპინგამმა“ „ნორვიჩში“ ერთწლიანი იჯარით გაშვებული 19 წლის თავდასხმული პარი კინი გამოიხიბო და „უთი პართ ლინზზე“ დააბრუნა. ფეხბურთელი „კეროუ როუდზე“ ავსტრალიაში გადავიდა, მაგრამ „იანდონის“ ღირსება ორალორ შეხვედრაში დაიცვა. მან ლიგის თასზე „დონკასტერთან“ ტრავმა მიიღო და დეკემბრის ბოლომდე მკურნალობას მოუწია. „დეზაბი“ ბევრს ცვადაც იანვარში თავდასხმულის გადაბრუნებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ანდრე ვილამ ბობაქვას სწორედ ამის მერე გადაწყვიტა, რომ სათადარიგოთა სკამისთვის მას ინგლისის 19-წლამდელთა ნაკრების ლიდერიც გამოადგებოდა.

მალიზის იმედიკრათა სია


„ნოტინგემ ფორსტში“ ქვეითებმა ფავაბ ალ ჰასაიმი და მისმა ოჯახმა ნაიჯელ დოტსგან შარშან ივლისში შეიძინეს და მას მერე მესამე მთავარი მწვრთნელი გაათავისუფლეს. გარეგნის დადებისას „შეტყველეთ“ დამრიგებელი სტივ კოტერილი გახლდათ. ალ ჰასაიმი მის ადგილას შინ ოდრის კოლი დანიშნა, მაგრამ დეკემბერში მას კარისკენ მიუთითა და ალექს მაკლემ უხმო. მოტლანდში პოსტზე ზუსტად 41 დღე გაძლო და „ლუბის განვითარების სტრატეგიაზე განსხვავებული პოზიციის“ გამო გადავიდა. პრესა მითხოვს, თუ ვინ გახდება ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულუანი კლუბის მთავარი მწვრთნელი. ყველაზე ხშირად მოლანდის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ იჯიმი ფოლიდ მასელებსას ასახელებენ, ამას გარდა განიხილება ბილი დევისის კანდიდატურა, ვინც გუნდს უკვე ევადა სათავეში 2009 წლის იანვრიდან 2011-ის ივლისამდე და „სტივ გრაუნდლი“ ნახსელის შემდეგ უმუშევარი, აქა-იქ შეიძლება წაწყნდეთ პაოლი და კანოსი (სუინდონი), რობერტო და მატეოსი და ნაიჯელ დევისის სახელებსაც.

ლივარკული: ბენ პარვი პაროლის ნაცვლად

„ლივარკული“ 40 წლის მთავარი მწვრთნელი ბრენდან როჯერსი „ნიუკასლის“ ნახევარმწვრთნელს ატემ ბენ არავს შექმნილ არის დანიტრესებულ და მზადაა, 25 წლის ფრანგი ჩრდილოელს ენდი კეროლი გაუცვალოს. „ჩაქუჩებს“ „ჩელსიში“ დეზაბა გადისთვის შემდეგ ძალიან უნდოდათ ძლიერი ცენტრფორვარდის შექმნა, მაგრამ ხელი მოეცა. მაგალითად, ლოკ რემში ბოლო მომენტში „ქუინზ პარკი“ არჩია. კონტრაქტით ბენ არავს „სენტ ჯეიმს პარკზე“ 2015 წლის ივლისამდე უნდა დარჩეს. ჯერჯერობით მწელი სათქმელია, დანიტრესდება თუ არა ალან პარდიუ ყოფილ შეგვრდიან თანამშრომლობით, ვისაც 2011 წლის იანვარში „ნიუკასლიდან“ ნახსელის შემდეგ სტაბილურად კარგად აღარც უთამაშა.

ნაინაბლის ჯილვს ერთი საიმოხი

„მანჩესტერ იუნაიტედს“ შემადგენლობაში უკვე ჰყავს ოთხი უმაღლესი კლასის თავდასხმელი: რობინ ვან პერსი, ზავერ ერნანდესი, უენ რუნი და დენი უელბეკი. მოსუდევად ამისა, სერ ალექს ფერგუსონს კიდევ ერთი შემტევის გადაბრუნება სურს. იანვრის სატრანსფერო ბაზრის გასწავლვად დიდი ხნით აღრე გერმანულ პრესაში ისიც კი დაინერა, რომ „ემპსკები“ „დორტმუნდს“ რობერტ ლევეანდოს კიზე შეუთანხმდნენ, თუმცა შემდეგ ინფორმაცია არ დადასტურდა. ამჯერად „ტრობალფუსტოლი“ „ოუნაიტედში“ „პორტუს“ კოლუმბიელი ლეგიონერის, 26 წლის ჯექსონ მარტინესის შესაძლო გადაბრუნებაზე წერს. სამხრეთ-აფრიკელს მიმდინარე ხეზონში ყველა ტურნირში ერთად 27 შეხვედრაში 20 გოლი აქვს გატანილი.



დეზაბა ბას ყოფილ გუნდიან პირველივე დაპირისპირებისას ცხვირი გაუტყებეს

გაერლი მოაზრება
ლევან ბიბიაშვილი

პარსკვლავი vs პარსკვლავი

ზღაგანი ღიონელის წინააღმდეგ

მომავალსავე, გუშინ, სტოკოლმში საკმაოდ საინტერესო ამხანაგური მატჩი შედგა. ერთმანეთს შედეგით და არაგენტიანის ეროვნული ნაკრები გუნდები დაუპირისპირდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ნაკრები უამრავი ვარსკვლავია, ეს დაპირისპირება ინტერესს, პირველ რიგში, ზღაგანს იბრაჰიმოვიჩის და ლიონელ მესის ფაქტორის გამო ინვესტა. ფიფას ოფიციალურმა საიტმა, ამ ორი ფეხბურთელის შედარება გადამწყვეტა და ეს ციფრების დახმარებით გააკეთა...

სივალე

იბრაჰიმოვიჩი: 1.95 მეტრი
მესი: 1.69 მეტრი
11 წლის ასაკში, „პულგას“ ზრდის პორმონის დეფიციტის დიაგნოზი დაუსვეს. მიუხედავად იმისა, რომ „რივერ პლეიტა“ ნიჭიერი ფეხბურთელი დაინტერესებული იყო, „მილიონერმა“ მკურნალობის ხარჯების გაღებაზე უარი თქვა, სამაგიეროდ უარი არ თქვა „ბარსელონამ“. დანარჩენი კი უკვე ისტორიაა. **იბრაჰიმოვიჩმა**, რომელიც მესიზე 26 სანტიმეტრით მაღალია, ცოტა ხნის წინ იხუმრა: „მესაძლია მესის ოთხი ოქროს ბურთი ბეჭის, სამაგიეროდ მე სკამზე დადგომა არ მჭირდება იმისთვის, რომ აპარტიდან შოკოლადი ვიყიდო“.

ქვეყნები, როგორც ღირსების დაცვაც შეიქმნა
იბრაჰიმოვიჩი: 3
მესი: 2
იბრაჰიმოვიჩი შედევით დაიბადა. მამა ბოსნიელი ჰყავს, დედა ხორვატი. მას სამივე ამ ქვეყნის ნაჭრებში შედგენილი თამაში, მაგრამ საბოლოოდ, არჩევანი შედეგით სასარგებლოდ გააკეთა. მესი, 2004 წელს ესპანეთის 20-წლამდელთა ნაკრებში გამოიძახეს, მაგრამ მან შეთავაზება უარყო და არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრებში გაემგზავრა.

საერთაშორისო გოლეაგი:
იბრაჰიმოვიჩი: 39 გოლი 85 თამაშში
მესი: 31 გოლი 76 თამაშში
იბრაჰიმოვიჩი, რომელსაც საშუალოდ ერთ შეხვედრაში 0.46 გოლი გააქვს, შედეგით ნაკრების ყველა დროის ბომბარდირებში მესამე ადგილზეა. მასზე წინ მხოლოდ, სენ რიდელი (49 გოლი) და გუნარ ნორდალი (43 გოლი) არიან. მესი არგენტინის ნაკრების ყველა დროის მეოთხე საუკეთესო ბომბარდირია. პირველზე გაბრიელ ბატისტუტა (56 გოლი), მეორე ადგილს ერნან კრესპო იკავებს (35 გოლი), მესამეზე კი დიეგო მარადონა გახლავთ (34 გოლი). არგენტინელმა, 2012 წელს, ნაკრებში ჩატარებულ 9 შეხვედრაში 12 გოლი გაიტანა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საშუალო შედეგიანობით იბრას ოდნე ჩამორჩება (0.41).

გოლეაგი მსოფლიოს ჩემპიონატში:
იბრაჰიმოვიჩი: 0 გოლი 5 თამაშში
მესი: 1 გოლი 8 თამაშში
მესის დებიუტი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე შედგა, როდესაც 18 წლის ფეხბურთელი ცვილზე გაემოიფა და პირველივე შეხვედრაში გოლი გაიტანა. არგენტინამ იმ დღეს სერბეთის და ჩერნოგორიის ნაკრებს წამოუგო. ამის შემდეგ, მესი მოედანზე კიდევ ორჯერ გავიდა, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლო. ყველას გასაკვირად, მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო მუნდიალზე მესიმ არგენტინის ნაკრების ხუთვე შეხვედრაში ითამაშა, „პულგამ“ ვერცერთი გოლი ვერ გაიტანა.

ტრანსფერები
გადახდილი თანხის ჯამი
იბრაჰიმოვიჩი: 171.1 მილიონი ევრო
მესი: 0
მესი „ბარსელონაში“ თინეჯერობამდე ჩაირიცხა და გუნდის დატოვებასთან ახლოს არასდროს ყოფილა. „მალმიოიდან“ ამსტერდამის „აიასში“ გადასვლის შემდეგ (პოლანდიელმა 80 მილიონი შედეგით კრონა გადაიხდეს), იბრამ ბერესი კლუბი მოიარა. შედეგად შემდეგ კლუბებში ითამაშა: „ოუვენტუსი“ (16 მილიონი ევრო), „ინტერი“ (24.8 მილიონი ევრო), „ბარსელონა“ (69 მილიონი ევრო), „მილანი“ (24 მილიონი ევრო) და „პარი სენ-ჟერმენი“ (20 მილიონი ევრო).

საჩემპიონო ტიტულები
იბრაჰიმოვიჩი: 7
მესი: 5
იბრაჰიმოვიჩი ორჯერ პოლანდის ჩემპიონი გახდა („აიასთან“ ერთად), შემდეგ კი იტალიაში გადამარგდა, სადაც „ოუვენტუსთან“ ერთად ორი სკუდეტო მოიგო. შემდეგ იყო მილანის „ინტერი“, სადაც სამივე სეზონში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამას მოჰყვა სეზონი და ჩემპიონობა „ბარსელონაში“, შემდეგ კი ტრანსფერი „მილანში“, სადაც გატარებული ორი წლიდან პირველში, შედეგად კვლავ მოიგო სკუდეტო. მესიმ ესპანეთის ჩემპიონის ტიტული 2005, 2006, 2009, 2010 და 2011 წლებში მოიპოვა.



ჩემპიონატის საუკეთესო გოლეაგი
იბრაჰიმოვიჩი: 2
მესი: 2
იბრაჰიმოვიჩმა 2008/09 წლების სეზონში 25 გოლი გაიტანა და გუნარ ნორდალის შემდეგ, სერია A-ს პირველი შედეგი ბომბარდირი გახდა. „კაპოკანონიერის“ ნოდება იბრამ მეორედ „მილანთან“ ერთად, 2012 წელს მოიპოვა, როდესაც 28 გოლი გაიტანა. მესი ზედიზედ ოთხჯერ გახდა ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი, ლალიგაში კი ეს ტიტული სულ ორჯერ მოიგო (2009/10 და 2011/12 წლების სეზონში).

გოლეაგი 2012/13 წლების სეზონში (მსოფლიო კლუბში)
იბრაჰიმოვიჩი: 22 გოლი 26 თამაშში
მესი: 45 გოლი 34 თამაშში
იბრას საოცარი შედეგი აქვს (ლიგა 1-ში 20 გოლი 20 თამაშში), მაგრამ მესისთან შედარებით მისი მანქანებელი ფერმკრთალდება. 25 წლის ღორჯარდმა, ესპანეთის ჩემპიონატის 22 შეხვედრაში 34 გოლი გაიტანა (საშუალოდ 1.55). თუ ეს გაგრძელდა, მესი წინა სეზონში დამყარებულ რეკორდს (50 გოლი ერთ ჩემპიონატში) დაამხოვს. გარდა ამისა, მესიმ ჩემპიონთა ლიგის 6 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა და ახლა ამ ტურნირზე 56 გოლი აქვს გატანილი.

მაისურის ნომერი
იბრაჰიმოვიჩი: 10, ნაკრებშიც და კლუბშიც
მესი: 10, ნაკრებშიც და კლუბშიც
იბრაჰიმოვიჩი „მალმიოში“, „აიასსა“ და „ოუვენტუსში“ მე-9 ნომრით თამაშობდა. „ინტერში“ 8-ნომრითაი მისურავდა, „ბარსელონაში“ ისევ 9, „მილანში“ კი უკვე მე-11 ნომერი იყო. 2002 წლის მუნდიალზე, შედეგით ნაკრების გაცხადში 21-ე ნომრით ეწერა, მაგრამ მომდევნო წლიდან, ნაკრებში მუდამ 10-ნომრითაი მისურავდა. 2005 წელს, 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, მესის მე-18 ნომერი მანიჭეს, არგენტინის ნაკრების 10-იანი კაპიტანის პერესი იყო, რომელიც ახლა „პოკა უნიდოსში“, არგენტინის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში თამაშობს. მიუხედავად ამისა, მესიმ ტურნირის გამარჯვებული, საუკეთესო ფეხბურთელი და საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ეროვნულ ნაკრებში, როსარიოში დაბადებულ ფეხბურთელს სხვადასხვა ნომრის მისურავდებოდა (7, 15, 18, 19), მაგრამ 2008 წლიდან მოყოლებული, მუდამ 10 ნომრით თამაშობს.

ტატო პაცინკაძე

არ გამოგვოვოთ! 8 თებერვალი
დავით აღმაშენებლის ხსენების დღე!

წელიწადში ერთხელ განსაკუთრებული აქცია!

ყველა დროის საუკეთესო ისტორიული რომანი - **კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“**

სრული ვერსია 8 ტომად

ახალ გამოცემაში შესულია საბჭოთა ეპოქაში ცენზურის მიერ ნივინდან ამოღებული გონაკვეთები

8 ტომის სპეციალური ფასი **48 ლარი**
24 ლარი

8-დან 15 თებერვლამდე შეიძინეთ „გიგლუსის“ გადაჭიმვაში

● მოსალოდნელი ტრანსფერი

ლევანდოსკი ბაიერს უახლოვდება! თუ რეკორდმაისტერი 30 მილიონს გადაიხდის...



რობერტ ლევანდოსკი

ლონდონის „ბორუსიას“ პოლონელი გოლეადორის, რობერტ ლევანდოსკის მიუხედავად „ბაიერნი“ მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ ახალი ცნობები გრძელდება. „ბორუსიას“ ინფორმაციით, 24 წლის პოლონელი თავდასხმელი რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებს ორიოდე დღის წინ შეუთანხმდა და

მზადაა, ზაფხულში მიუნხენურ გრანდში გადავიდეს. ამასთან, „ბორუსიას“ იმასაც სურს, რომ ამას წინათ, „ბაიერნი“ გასასაღებლად ლევანდოსკი უკვე ახსენეს როგორც ფეხბურთელი, რომელიც მომავალ სეზონიდან რეკორდმაისტერისთვის შეუტყვეს.

რობერტს „დორტმუნდთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, გერმანიის ჩემპიონი თავის მთავარ გოლეადორს 30 მილიონ ევროზე იაფად არ დათმობს. „ბორუსიას“ გენერალურმა მენეჯერმა ჰანს-იოახიმ ვატცეკემ გუმინ ლევანდოსკის მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით საინტერესო კომენტარი გააკეთა: „სიახლე არაფერია გარდა იმისა, რაც პრესაში იწერება. თუკი რობერტს მართლაც სურს სხვა კლუბში გადასვლა, მზად ვართ მოლაპარაკების მაგიდას მივუხსნეთ და ყველაფერზე გულახდილად ვისაუბროთ.“

ვატცეკე თუ არა რობერტ ლევანდოსკი ხოსებ ვეარდიოლას ფორმაციის „ბაიერნი“ პირველ მუნაქვეთ, ამას დრო გვიჩვენებს, მანამდე კი იმას ვეტყვით, რომ 24 წლის კვიერ გროსკროცტმა „დორტმუნდთან“ კონტრაქტი 2016 წლამდე გააახანგრძლივა.

გოტფრიდ ლენცი

● ბაიერნი

ბაიერნი-ბარსელონა ული ჰიონესის თასზე 24 ივლისს: გვარდიოლა ბარსელონას წინააღმდეგ


24 ივლისს ძალიან საინტერესო ამხანაგური მატჩი დაიგეგმა: მიუნხენის „ბაიერნი“ ული ჰიონესის თასისთვის „ბარსელონას“ უმასპინძლებს. აქედანვე ცხადია, რომ ამ შეხვედრის ყურადღების ცენტრში ხოსებ ვეარდიოლა მოექცევა, რომელიც იმ დროს უკვე ბავარიული გრანდის მთავარი მწვრთნელი იქნება. ამ შეხვედრით გუნდები „ბაიერნი“ პრეზიდენტ ული ჰიონესს მე-61 იუბილეის მიულოცავენ.

მართალია, ჰიონესი 5 იანვარს 61 წლის გახდა, მაგრამ „ბარსელონას“ ამხანაგური მატჩი ულის დაბადებებიდან 61 წლისთავის დაგვიანებული საპუქარი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ „ბაიერნი“ და „ბარსელონა“ ამ მატჩზე დიდი ხნის წინ შეთანხმდნენ - მათი გვარდიოლა მიუნხენში დანიშნავს საჯარო შეხვედრას, რომელიც არ იყო.

ბალბეაპის 2017 წლამდე

აქვე გეტყვით, რომ „ბაიერნი“ და გერმანიის ნაკრების 23 წლის მცველმა პოლგერ ბადშტუბერმა, რომელიც ახლა ტრავმირებულია, რეკორდმაისტერთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2017 წლამდე აქვს. ბადშტუბერის ძველ ხელშეკრულებას ვადა 2014 წლის ზაფხულამდე ჰქონდა.

გოტფრიდ ლენცი



კატალინიელები ჰებ ვეარდიოლას 2012 წლის ზაფხულში დაემშვიდობნენ

● ვარსკვლავი

კრიშტიანო რონალდო მუნილი დაიფიხსა... რეალის ვარსკვლავი ახალ კონტრაქტზე, ლეო მესიზე და დაბადების დღეზე

კრიშტიანო რონალდო, რომელიც სასტარტი არ სურს „რეალის“ კონტრაქტის გაახანგრძლივებაზე ლაპარაკი და არც ამ თემის განხილვას აპირებს კლუბში: „ახლა არ ვაპირებ კონტრაქტის თემას დაუთმო ბევრი დრო. ახლა მილიანად კონცენტრირებული ვარ მიმდინარე პროცესებზე, ეს კი არის „რეალის“ მიერ ჩემპიონთა ლიგის მეათედ მოგება და წარმატება ქვეყნის თასის გათამაშებაში. კონტრაქტი ახლა არ მალეულებს“.



ის რეალში უბადარი ადარ არის

მასსწამ ალბათ, სეზონის დასაწყისში კრიშტიანო რონალდომ ყველა გააცოცა, როცა ვანაჯახდა, რომ „რეალში“ თავს ბედნიერად გერ გრძნობდა. მაშინ პორტუგალიელი ვარსკვლავი კლუბის პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს შეხვდა და გუნდიდან გამეგება (გაყვადის უფლება) სთხოვა.

ახლა ფეხბურთელი აცხადებს, რომ ყველაფერი რაღაცა-მეორედ შეიცვალა: „დაიბ, სიტუაცია შეიცვალა. ყველაზე მეტად ფეხბურთის თამაში მიყვარს, რასაც ვაკეთებ კიდევაც. ახლა მოედანზე და ჩემს თანაგუნდელთა გარემოცვაში თავს კარგად გრძნობ. შესაძლოა, ჩემი აზროვნებაც შეიცვალა. ერთი რამ ასპროცენტია - მაშინდელ ამბებთან ფული არავითარ კავშირში არ იყო, შემძლია შეილი დაეფიფო“.

ნიკოლო ნეშარიძე

● ეროვნული ნაკრებები. ამხანაგური მატჩები



ინგლის ბრაზილიის დამარცხებას ზემოს

ინგლისი-ბრაზილია 2:1
გოლები: 1:0 რინი (26), 1:1 ფრედი (48), 2:1 ლამარდი (60)
ინგლისი: ბარტი - ფონსონი, სმილენტი, კეპოლი, ე. კოული (46. ბენესი) - კლევერლი (46. ლამარდი), ჯერარდი, უილსონი - უოლკოტი (76. ლენონი), რუნი, უელბეკი (61. მილნერი).

ბრაზილია-სერბია 1:0
გოლები: 1:0 მილნერი (90)
